ბატომნო კახა,

სამსახურში შემოსული თქვენი N19/0118144950-17 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქუჩა ჯამბული N5/ქ. თბილისი, ვირსალაძის ქუჩაძე N8 და N10 სახლებს შორის (საკ. კოდი: 01.15.04.008.030) 2018 წლის 30 ნოემბრის N4279299 (AR1644050) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

„ა-დ“ ფასადი: „გ-დ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი.

„3-1“ ფასადი: +3.25 ნიშნულზე „3-2“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია დამატებით მოწყობილია ღიობი რომელშიც მოწყობილია მინაბლოკი.

„2-1“ მონაკვეთში ყველა ტიპიურ აივანის ძირებზე დამატებით მოწყობილია რიგელები.

+19.20 ნიშნულზე გაზრდილია ღიობის გაბარიტი.

„დ-ა“ ფასადი: +0.00 ნიშნულზე „დ-გ“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის გაბარიტი.

გეგმების მიხედვით: +0.00 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

„1-2“ და „ა1-ა“ მონაკვეტებს შორის ყველა ტიპიურ სართულზე შეცვლილია ვიტრაჟის მდებარეობა და გაბარიტი.

+19.20 ნიშნულზე „2-3“ მონაკვეთში „ა“ ღერძთან არ არის მოწყობილია კაპიტალური საყვავილე. იგივე მონაკვეთში „გ“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. „ბ-გ“ და „2-3“ მონაკვეთებში გაზრდილია ვიტრაჟის გაბარიტი. ტერასაზე გაზრდილია კაპიტალური მოაჯირის სიმაღლე. „გ-ბ“ მონაკვეთში „1“ ღერძთან გაზრდილია შახტის გაბარიტი.

+22.51 ნიშნულზე სახურავზე დამატებით მოწყობილია შახტები.

+3.45 ნიშნულზე „2-3“ მონაკვეთში „ბ“ ღერძთან საპროექტო გეგმა არ ემთხვევა არსებულ სიტუაციას, ასევე არ ემთხვევა „1-1“ ჭრილს.

პროექტში არ არის ნაჩვენები რიგელები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSIDA-083 ქალაქ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო * 405026877 *